ოქმი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 15 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. აკაკი მალანია
5. მალხაზი იოსავა
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

მოწვევით: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ბიუროს წევრები:

ვ. ქანთარია - საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

დ. გაბუნია - საკრებულოს განათლების კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მ. თათარიშვილი - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

(მომხსენებელი დ.ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 7, წინააღმდეგი -არც ერთი**

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა**

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

(მომხსენებელი დ.ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.)

**მოისმინეს: დ. ჭოჭუა** - წარმოადგინა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (ოქმს თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიისა და ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

**აზრი გამოთქვეს:** მ. ქარდავამ, გ. ქაჯაიამ, მ. იოსავამ - დაისვა შეკითხვები ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესის მიმდინარეობაზე, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვასა და განხორციელებაზე. კითხვები ასევე ეხებოდა საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის, შესყიდვების და საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილებების მუშაობას.

დებატების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის შეფასება

**შეფასების შედეგები:**
**არადამაკმაყოფილებელი** - 0
**დამაკმაყოფილებელი** - 0
**დადებითი** - 7

**დაადგინეს:** ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2023 წლის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია